ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში
პიქსელის ბიზნეს ცენტრი - მე-8 სართული
ილია ჭავჭავაძის პრ. #34
0179 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 (32) 291 38 70/71/72/73
http://www.coe.int/tbilisi

KAT

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი **47** წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთაგან **28** ევროკავშირის წევრიცაა. ევროკავშირის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო წედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

www.coe.int

ევროკავშირი არის ევროპის **28** დემოკრატიული სახელმწიფოს განსაკუთრებული ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის კლატფორმა. მისი მიზნებია: მშვიდობის, კეთილდღეობის და თავისუფლების უზრუნველყოფა მისი **500** მილიონი მოქალაქისთვის უფრო სამართლიან და უსაფრთხო მსოფლიოდი. აღნიშნულის მისაღწევად, წევრი ქვეყნები აფუძნებენ ევროკავშირის მმართველობით და საკანონმდებლო ორგანოებს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ევროპარლამენტი (სადაც წარმოდგენილია ევროპის მოსახლეობა), ევროკავშირის საბჭო (სადაც წარმოდგენილია ეროვნული მთავრობები) და ევროკომისია (რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის საერთო ინტერესებს).

http://europa.eu

ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა საქართველოს ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში II

ვმუშაობთ ერთად საქართველოს დახურული ტიპის დაწესებულებებში ადამიანის უფლებებისა და ჯანდაცვის გასაუმჯობესებლად

Programmatic Cooperation Framework for Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova, Ukraine and Belarus

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe

პროექტის მიზნები

პროექტის საერთო მიზანია ადამიანის უფლებათა პატივისცემის გაძლიერება და საქართველოს ციხეებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა ჯანდაცვის (მათ შორის, ფსიქიკური ჯანდაცვის) გაუმჯობესება. უფრო კონკრეტულად, პროექტის მიზანია:

1. ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესება საქართველოს ციხეებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში.
2. მარეგულირებელი ბაზის გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რის მიხედვითაც წარიმართება იმ პატიმართა და ადამიანების მკურნალობა, ვისაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ და ფსიქიატრიულ მკურნალობას საჭიროებენ; აგრეთვე, შესაბამისი სამუშაო პრაქტიკის დახვეწა.
3. პრევენციული შესაძლებლობებისა და ღონისძიებათა გაძლიერება თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დასაცავად, ასევე, შიდა და გარე ზედამხედველობის გაუმჯობესება დაკავების ადგილებში, მათ შორის, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.

პროექტის პარტნიორები

პროექტი ხორციელდება სასჯელაღსრულების, შინაგან საქმეთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალურ საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებთან, ასევე სახალხო დამცველის ოფისთან თანამშრომლობითა და პარტნიორობით. ჩართულნი არიან სხვა დაინტერესებული მხარეებიც, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული ვითარებისა და თავისუფლებააღკვეთილ პირთა ჯანდაცვის გაუმჯობესებას. მათ შორის, დამოუკიდებელი ექსპერტები, ადამიანის უფლებათა დამცველები თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აკადემიური წრეები თუ საერთაშორისო ორგანიზაციები.

ზოგადი ინფორმაცია

პროექტი 18 თვეს გრძელდება და 2017 წლის 31 აგვისტოს სრულდება. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 745,000 ევროს შეადგენს. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით და ევროპის საბჭოს თანადაფინანსებით, ევროკავშირსა და ევროსაბჭოს შორის პროგრამული თანამშრომლობის ფორმატში, რომელიც აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი.

აღნიშნული პროექტი აგრძელებს და ეფუძნება ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ერთობლივ პროექტს „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“, რომელიც 2016 წლის თებერვალში დასრულდა. იგი ეხმარება საქართველოს ხელისუფლებას ციხეებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების სფეროში მიღწეულ შედეგთა განმტკიცებაში, აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ციხეებში, პოლიციასა თუ სხვა დახურული ტიპის დაწესებულებებში არსებულ გამოწვევებზე რეაგირებაში. პროექტში ღონისძიებათა ფართო სპექტრის შესრულებაა დაგეგმილი: საექსპერტო ანალიზი, ტექნიკური დახმარება მარეგულირებელი ბაზისა და პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტების ჩამოყალიბებაში, მენეჯმენტისა და მონიტორინგის ინსტრუმენტების შემუშავება, შეფასებითი ვიზიტების განხორციელება და ქვეყნის საჭიროებებზე მორგებული კვლევების ჩატარება, სასწავლო პროგრამების, მასალებისა თუ პუბლიკაციების მომზადება და სხვადასხვა სასწავლო თუ ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებათა ორგანიზება (ტრენინგები, კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები და სხვ.), აგრეთვე კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარება.

მოსალოდნელი შედეგები

- პატიმართა და თავისუფლებააღკვეთილ პირთა გაუმჯობესებული წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე, რომელიც აკმაყოფილებს ხარისხის მინიმალურ სტანდარტს;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა და ფსიქიატრიული მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა გაუმჯობესებული მკურნალობა, ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- პრევენციულ ღონისძიებათა გაუმჯობესება ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით და შიდა თუ გარე ზედამხედველობის მექანიზმების გაძლიერება დაკავების ადგილებში, მათ შორის, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ გვერდზე:
http://pjp-eu.coe.int/en/web/eap-pcf/home
http://www.coe.int/t/dgi/criminallawcoop/